



წარმატებული საქმე

საიას ოზურგეთის ოფისის ჩართულობით
ოზურგეთი-ნატანები-ურეკის გზაზე
არასწორად განთავსებული საგზაო
ნიშნები შეიცვალა

საიას ოზურგეთის ოფისის ჩართულობით
ოზურგეთი-ნატანები-ურეკის გზაზე
არასწორად განთავსებული საგზაო

ნიშნები შეიცვალა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის ადმინისტრაციულ შენობასა და სოფელ ციხისფერდის სკოლის მიმდებარედ, განთავსებული იყო საგზაო ნიშნები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით.

ორივე შემთხვევაში მაქსიმალური სიჩქარის შემზღუდველი ნიშნები განთავსებული იყო გზატკარედინის წინ. ეს გულისხმობდა იმას, რომ 50 კმ/სთ-ით მაქსიმალური სიჩქარის შემზღუდვის ზონაში მოძრაობისას, გზატკარედინთან მიახლოებისას სატრანსპორტო საშუალების მძღოლებს ეძლეოდათ შესაძლებლობა გაეზარდათ სიჩქარე 80კმ/სთ-მდე, მაშინ, როდესაც გზების კვეთის, შეერთების ან განშტოების ადგილებში პირიქით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე უნდა მცირდებოდეს. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის გამო არაერთი პირი უსამართლოდ ჯარიმდებოდა.

ამ პრობლემის მოგვარების მიზნით საიამ რამდენჯერმე მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ **აქტიუმი** ჩვენი ადვოკატირების შედეგად, საგზაო ნიშნები ორივე ლოკაციაზე განთავსდა გზატკარედინების შემდეგ, საიდანაც იწყება დაუსახლებელი პუნქტები და ამ ნიშნების განთავსებაც გამართლებულია.